სახელმძღვანელო გრიფირებულია სსიპ – განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2012 წელს

თბილისი 2013

ქართული ენის **მეოთხე** დონის სახელმძღვანელო განკუთვნილია არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნისაგან კომპაქტ დისკთან ერთად.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სახელმწიფო პროგრამის ,,ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის" ფარგლებში.

ავტორები: მაია მელიქიძე
ნინო გორდელაძე

რედაქტორები: ირმა ტაველიძე
თინათინ ცერაძე

მხატვარი: მაკა ჯეზირაშვილი
ამირან ისიანი

დიზაინერ - დამკაბადონებლები: თამარ დევდარიანი
თეონა კერესელიძე

ISBN 978-9941-0-3976-8

© საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2012
© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012

სარჩევი

პირველი ნაბიჯები ..... 4-13 გვ.

თემა 1

უკვე ერთი წლით დიდი ვარ! .....14-21 გვ.

თემა 2

ერთი ჩვეულებრივი დღე ..... 22-29 გვ.

თემა 3

მწერების სამყაროში ..... 30- 37 გვ.

თემა 4

როცა ავად ვიყავი... ..... 38- 45 გვ.

თემა 5

ვინ გინდა, რომ იყო? ..... 46-53 გვ.



თემა 6

მალე არდადეგები დაიწყება! ..... 54-61 გვ.

თემა 7

ალო, გისმენთ! .....62- 69 გვ.

საკითხავი ტექსტები ..... 70-79 გვ.

პირველი ნაბიჯები

ის ულვაშიანი კაცი ბიძაჩემია.
ის ბათუმში ცხოვრობს.



ჩემი მამიდაშვილი
თელაველია.

დეიდაჩემიც
ბათუმელია.

ეს მამიდაჩემია. ის თელავში ცხოვრობს.

ეს ჩემი კი არა,
იას დაბადების დღეა.

მაშინ პირველად
ვნახე ნამდვილი გემი.

მე მგონი, დედაჩემი წავიდა
და იმიტომ ვიტირე.

კარგად მახსოვს
ჩემი პირველი სათამაშო.

1. მოძებნე ეს სიტყვები სურათზე და გაიმეორე.



2. წაიკითხე, მოძებნე სურათზე და დაასახელე, ვინ არის.

ა. კალათში ისვრის ბურთს.
ბ. კარში არტყამს ბურთს.
გ. დგას კარებში.
დ. არის მსაჯი.

ბურთის სროლა
ბურთის დარტყმა

3. წაიკითხე, ვინ რას აკეთებს.

ფეხბურთელი თამაშობს ფეხბურთს.

კალათბურთელი თამაშობს კალათბურთს.



ჩოგბურთელი თამაშობს ჩოგბურთს.

წყალბურთელი თამაშობს წყალბურთს.



1. მოისმინე. წაიკითხე და გაიმეორე.



პირველი მეორე მესამე მეოთხე მეხუთე მეექვსე მეშვიდე

2. დააკვირდი გიას სპორტული დარბაზის დიაგრამას.



3. გააკეთე მსგავსი დიაგრამა შენს სკოლაზე - რა აქვს შენს სკოლას, როგორია, სად არის და რას აკეთებთ იქ.

გამოიყენე შენი დიაგრამა და დაწერე.

ჩემს სკოლას აქვს ...

დარბაზი არის ... სართულზე.

მოედანი არის ჩემი სკოლის ეზოში.

დარბაზში ვთამაშობ ... / მოედანზე ...

ჩემი ნათესავები

4. მოისმინე და მიუთითე სურათზე.



5. წაიკითხე, მოძებნე სურათზე და დაასახელე, ვინ არის.

1. ის გიას მამიდაშვილია. ის სკოლის მოსწავლეა. დგას ბაბუის გვერდით.
2. ის გიას თბილისელი ბიძაა. ის პოლიციელია. არის გამხდარი. აქვს გრძელი სახე. აცვია ლურჯი პერანგი. დგას უკან.
3. ეს ულვაშიანი კაცი გიას ბათუმელი ბიძაა. ის გემის კაპიტანია.
4. ის გიას დეიდაშვილია. არის პატარა და მსუქანი. აცვია ყვითელი კაბა. დგას ბაბუის გვერდით.
5. გიას დეიდა დგას ულვაშიანი კაცის გვერდით. არის გამხდარი და აქვს მოკლე თმა. აცვია შავი კაბა.

6. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან - ვინ ვინ არის.



დათო გიას კლასელია. ის რვა წლისაა. ეს დათოს ოჯახია. ნელი და შოთა დათოს მშობლები არიან. შოთა დათოს მამაა. ის ქეთოს და კოტეს შვილია. დათოს ორი ძმა და ერთი და ჰყავს. მალხაზი ყველაზე უფროსია. ის თორმეტი წლისაა და მეშვიდე კლასში სწავლობს. დათოს დას მაკა ჰქვია. მაკა ათი წლისაა. ის მეხუთე კლასში სწავლობს. ეს დათოს უმცროსი ძმაა. სანდრო ჯერ ხუთი წლისაა.

1. წაიკითხე და გაიმეორე.

თბილისი- თბილისელი
ბათუმი - ბათუმელი

გია ცხოვრობს თბილისში.
გია არის თბილისელი.

ნიკო ცხოვრობს ბათუმში.
ნიკო ბათუმელია.

2. დააკვირდი.

ვცხოვრობ
- ბოლნისში
- მარნეულში
- ნინოწმინდაში
- ახალციხეში
- რუსთავში...

ვარ
- ბოლნისელი
- მარნეულელი
- ნინოწმინდელი
- ახალციხელი
- რუსთაველი...

შენ სად ცხოვრობ?

შენ სადაური ხარ?

3. გაეცანი სქემას გიას შესახებ.

მონაცემები

1. რა ჰქვია? - გია
2. რამდენი წლისაა? - 8 წლის
3. სადაურია? — თბილისელი

ოჯახი

ვინ ჰყავს? - დედა, მამა, და, ბებია, ბაბუა

ნათესავები

ვინ ჰყავს? - ბებია, ბაბუა, დეიდა, მამიდა, ბიძა, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები

4. დააკვირდი და დაასახელე, რომელი ტრანსპორტი დადის შენს ქალაქსა თუ სოფელში.

ავტომანქანა

ავტობუსი

ველოსიპედი

ტაქსი

ტრაქტორი

მოტოციკლეტი


სატვირთო მანქანა

მატარებელი

გემი

5. მოძებნე განსხვავება და დაასახელე.

1


2


3

6. წაიკითხე და დააკავშირე შესაბამის საგზაო ნიშანთან. დაასახელე შესაბამისი ციფრი.

1

2

3

4

5

ა. აქ არ შეიძლება ფეხით მოძრაობა.
ბ. აქ არ შეიძლება ველოსიპედით მოძრაობა.
გ. აქ არ შეიძლება მანქანით მოძრაობა.
დ. მალე იქნება გადასასვლელი.
ე. აქ გადასასვლელია.

1. წაიკითხე და დააკვირდი.

გია არის პარკში.

გია შადრევანთან დგას. გიას უკან ბიჭი ზის. ბიჭს სოსო ჰქვია. იქვე ძაღლი წევს. სოსო ძაღლს ხატავს.

გია იყო პარკში.

გია შადრევანთან იდგა. გიას გვერდით ბიჭი იჯდა. ბიჭს სოსო ერქვა. იქვე ძაღლი იწვა. სოსომ ის ძაღლი დახატა.

2. დააკვირდი და დაიმახსოვრე, რა ხატია სურათზე.

3. დახურე წიგნი და გაიხსენე, რა ეხატა სურათზე.

4. მეწყვილესთან ერთად გაითამაშე დიალოგი სურათის მიხედვით.

ვინ / რა } იწვა? / იდგა? / იჯდა? / იდო?

გამოიყენე!

სად } იწვა? / იდგა? / იჯდა? / იდო?

5. მოისმინე და მიუთითე, რომელ მაღაზიაში მიმდინარეობს დიალოგი.

სპორტულ მაღაზიაში

აფთიაქში



მარკეტში

პურის მაღაზიაში

6. დააკვირდი და წაიკითხე.

სად არის? → ქალაქის ცენტრში, აბაშიძის ქუჩაზე, გაჩერებასთან.

როგორია? → დიდი, ლამაზი, ორსართულიანი.

რა იყიდება? → პირველ სართულზე? - ხილი, ბოსტნეული, სურსათი.

↓

მეორე სართულზე? - ტანსაცმელი, საჩუქრები, სათამაშოები.

1. მოისმინე და მიუთითე სურათზე.

2. გაიხსენე, დაასახელე და აღწერე, როგორი იყო:

1. შენი პირველი სათამაშო;
2. შენი პირველი მასწავლებელი;
3. შენი საკლასო ოთახი პირველ კლასში.

3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

გამოიყენეთ!

- გახსოვს შენი პირველი ...?

- მახსოვს / არ მახსოვს.

მე მგონი ... მაშინ... პირველად ...

4. დააკვირდი და გაიხსენე, რა მოხდა გუშინ.

რა გავაკეთე?	როდის? რომელ საათზე?	სად?
1. გავიღვიძე, დავიძინე 2. ვისაუზმე, ვისადილე, ვივახშმე 3. ვითამაშე, მოვუსმინე, ვუყურე 4. დავხატე, წავიკითხე, დავწერე 5. ვიყიდე 6. წავედი	დილით შუადღისას საღამოს 9 საათზე...	სახლში ეზოში სკოლაში გაკვეთილზე მაღაზიაში

5. ჩამოართვი ინტერვიუ მეწყვილეს.

რა გააკეთე გუშინ დილით? ...

სად იყავი გუშინ საღამოს? ...

რა გააკეთე გუშინ სახლში?...

6. დააკვირდი სურათს. დაასახელე, რა მოგწონს და რა - არა. თქვი, რატომ.

მომწონს იმიტომ, რომ ლამაზია... / აცვია ...

არ მომწონს იმიტომ, რომ არ არის ლამაზი / უშნოა...

7. შენ რომელს ეთანხმები? გამოიყენე ფრაზები:

მე არ ვეთანხმები იმიტომ, რომ არ არის...

მე ვეთანხმები გიას... მეც მომწონს ეს იმიტომ, რომ არის...

თემა 1

უკვე ერთი წლით დიდი ვარ!

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	
ორ.	3 10 17 24 31	7 14 21 28	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	ორ.
სამ.	4 11 18 25	1 8 15 22	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	სამ.
ოთხ.	5 12 19 26	2 9 16 23	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	ოთხ.
ხუთ.	6 13 20 27	3 10 17 24	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	ხუთ.
პარ.	7 14 21 28	4 11 18 25	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	პარ.
შაბ.	1 8 15 22 29	5 12 19 26	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	შაბ.
კვ.	2 9 16 23 30	6 13 20 27	6 13 20 27	3 10 17 24	8 15 22 29	5 12 19 26	კვ.
	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
ორ.	4 11 18 25	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	ორ.
სამ.	5 12 19 26	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	სამ.
ოთხ.	6 13 20 27	3 10 17 24 31	7 14 21 28	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	ოთხ.
ხუთ.	7 14 21 28	4 11 18 25	1 8 15 22 29	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	ხუთ.
პარ.	1 8 15 22 29	5 12 19 26	2 9 16 23 30	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	პარ.
შაბ.	2 9 16 23 30	6 13 20 27	3 10 17 24	1 8 15 22 29	5 12 19 26	3 10 17 24 31	შაბ.
კვ.	3 10 17 24 31	7 14 21 28	4 11 18 25	2 9 16 23 30	6 13 20 27	4 11 18 25	კვ.

დაბადების დღე

საჩუქარი

მისალოცი ბარათი

1.დააკვირდი და წაიკითხე, რამდენია ახალი წლიდან ახალ წლამდე.

1 წელიწადი ⟶ 12 თვე ⟶ 48 კვირა

წელიწადში ოთხი დროა,
თითო დროში - სამი თვე.
ერთ თვეშია ოთხი კვირა,
ერთ კვირაში - შვიდი დღე.

სეზონები: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი

თვეები: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

კვირის დღეები:
ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა

2. მოისმინე და წაიკითხე.

დათოს სიზმარი

- ხვალ ჩემი დაბადების დღეა. ჩემი მეგობრები მოვლენ. შენც ხომ მოხვალ? - ჰკითხა დათომ ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ კარლსონს.
- ტორტი და ნამცხვრები იქნება?
- აბა, რა!
- მაშინ აუცილებლად მოვალ! - უპასუხა კარლსონმა.
- მაინც რა დიდი დროა დაბადების დღეებს შორის! ზუსტად იმდენივეა, რამდენიც არის ახალი წლიდან ახალ წლამდე, არა, კარლსონ?
- აბა! ზუსტად იმდენივეა, რამდენიც არის კიდევ გაზაფხულიდან გაზაფხულამდე! - თქვა კარლსონმა.

3. მოისმინე, წაიკითხე და უპასუხე.

პატარა სანდრო



- დედა, მეც თბილისში დავიბადე?
- კი, სანდრო, შენ და დათო თბილისში დაიბადეთ.
- მალხაზი და მაკა სად დაიბადნენ?
- ისინი რუსთავში დაიბადნენ.
- მამა, შენც ხომ რუსთავში დაიბადე? გახსოვს, ერთხელ რომ მითხარი...
- მაშ, მე რუსთაველი ბიჭი ვარ! - გაეცინა მამას.
- დედა, შენ?
- მე გორში დავიბადე.
- რა ბედნიერებაა, რომ ერთმანეთს შევხვდით!- თქვა პატარა სანდრომ და დედას მოეხვია.

დაბადების დღეს გილოცავ, დათო!

1. წაიკითხე და მოძებნე ქვემოთ მოცემულ სურათზე.

ხაჭაპური

სასტვენი

თვითმფრინავი

ქადა

2. მოისმინე, დააკვირდი სურათს და დაასახელე, ვინ არის.

ყოჩაღ, ბომბორა!

რა კარგია, ხვალ ბომბორასთან მივდივართ!

3. მოისმინე დიალოგები. დააკავშირე სურათთან და დაასახელე, ვინ არიან.

4. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან.

დღეს დათოს დაბადების დღეა. ის ცხრა წლის გახდა. დაბადების დღეზე დათოს კლასელები მოვიდნენ. დათომ ბევრი საჩუქარი მიიღო. რეზომ ფეხბურთის ბურთი აჩუქა, გიამ და იამ სათამაშო თვითმფრინავი აჩუქეს, მზიამ აჩუქა საინტერესო წიგნი ცხოველებზე, ლიამ კი - ფერადი საღებავები. დათო და მისი კლასელები კარგად გაერთნენ და ბევრი იმხიარულეს.

5. წაიკითხე და თქვი, ვისთვისაა ეს ბარათი და ვინ არის ავტორი.

დათო!

გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბევრ სიხარულს.
ხვალ ყველას ჩემს პარკში გელოდებით. თქვენთვის სიურპრიზი მაქვს!

თქვენი ბომბორა

6. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

ნინის საჩუქარი

(თეა ლობჟანიძის მიხედვით)

- დღეს ნინის დაბადების დღეა! რა ვქნა, რა ვაჩუქო ნინის? - თქვა ლალიმ და საჩუქრის მოსაძებნად წავიდა. იარა, იარა და შეხვდა ფისო.

ა

- ფისო-ფისო, დღეს ჩემი მეგობრის დაბადების დღეა. ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად? - ჰკითხა გოგონამ ფისოს.
- ვერ წამოვალ, არ მცალია, - უპასუხა ფისომ.



დაღონებულმა ლალიმ გზა განაგრძო.
იარა, იარა და შეხვდა კუ.

ბ

- კუ, კუსუნა, დღეს ჩემი მეგობრის დაბადების დღეა. ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად? - ჰკითხა გოგონამ კუს.
- ვერ წამოვალ, არ მცალია, - უპასუხა კუმ.

დაღონებული ლალი პარკში შევიდა და სკამზე დაჯდა. უცებ ყვავილზე პაწაწინა ჭიამაია დაინახა.

გ

- დღეს ჩემი მეგობრის დაბადების დღეა. ხომ წამოხვალ ჩემთან ერთად? - ჰკითხა გოგონამ ჭიამაიას.
- იქ რა უნდა გავაკეთო? - გაუკვირდა ჭიამაიას.
- ვიცეკვებთ, ვიმღერებთ, ტორტს შევჭამთ, ლიმონათს დავლევთ!
- მერე მე?
- შენ ნინის საჩუქარი იქნები.
- კარგი, ოღონდ ჩემს მეგობრებთან ერთად წამოვალ, - უთხრა ჭიამაიამ ლალის.

გახარებული ლალი და ჭიამაიები ნინის დაბადების დღეზე წავიდნენ.

დ

- ნინი, გილოცავ დაბადების დღეს! - უთხრა ლალიმ მეგობარს და ხელისგული გაშალა. გოგონას ხელისგულიდან ჭიამაიების გუნდი ამოფრინდა.
- რა ლამაზიაააა! - შესძახა გაოცებულმა ნინიმ.
მთელი ოთახი მფრინავი საჩუქრებით აივსო.



როდის არის შენი დაბადების დღე?

1. წაიკითხე და გაიმეორე.

ჩემი დაბადების დღე არის პირველ ოქტომბერს.

მე ოცდაშვიდ აპრილს დავიბადე.

ლიას დაბადების დღე აქვს ჩვიდმეტ მაისს.

დავიბადე მაისში.
დავიბადე ორ მაისს.

ჩემი დაბადების დღე მაისშია.
ჩემი დაბადების დღე არის ორ მაისს.

2. წაიკითხე და დააკავშირე სურათთან.

1



2

- ხვალ ჩემი დაბადების დღეა. ხომ მოხვალ? ჩემი კლასელებიც მოვლენ და ბევრს ვიმხიარულებთ - ვითამაშებთ, ვიცეკვებთ, ვიმღერებთ, ტორტს შევჭამთ, ლიმონათს დავლევთ!

3. წაიკითხე.

რა მოხდა გუშინ დათოს დაბადების დღეზე?



ბევრი ვითამაშეთ და ვიმხიარულეთ.



ბევრი ვიცეკვეთ და ვიმღერეთ.

ტორტი შევჭამე და ლიმონათიც დავლიე.

4. გაეცანი მისალოცი ბარათის სტრუქტურას.



5. გაეცანი ქვემოთ მოცემულ მისალოც ბარათს და დაასახელე:

ა. რომელია მიმართვა?
ბ. რომელია ძირითადი ტექსტი?
გ. რომელ წინადადებაშია მილოცვა?
დ. რომელ წინადადებაშია სურვილი?
ე. რომელია დასასრული?

ჩემო დათუნა!

გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ჯანმრთელობასა და ბევრ სიხარულს.

შენი მამიდა

6. მოიფიქრე, ვის მიულოცავ დაბადების დღეს და მოამზადე მისალოცი ბარათი.

გამოიყენე!

... მასწავლებელო!
ჩემო მამიკო!
... დეიდა!
ნიკა!

გილოცავ ... / გილოცავთ ...
გისურვებ ... / გისურვებთ...

თქვენი მოსწავლე
შენი ...
ლია

1. წაიკითხე, დააკვირდი სურათს და დაასახელე, ვინ არის.

ა. მყავს ორი ძმა და ერთი და. ჩემს ერთ ძმას გუშინ დაბადების დღე ჰქონდა. ის ჩემზე ოთხი წლით უმცროსია და მეოთხე კლასში სწავლობს.

ბ. მე რუსთავში დავიბადე. ჩემი დაბადების დღე პირველ მაისსაა. დათოზე ორი წლით უფროსი ვარ. მყავს კიდევ ორი ძმა - სანდრო და მალხაზი.

გ. მე დავიბადე ოცდახუთ აგვისტოს, თბილისში. ოჯახში ვარ ყველაზე პატარა. სკოლაში ჯერ არ დავდივარ.

2. მოძებნე და დაასახელე, ვის როდის აქვს დაბადების დღე.



3. მოისმინე, წაიკითხე მეწყვილესთან ერთად და შემდეგ გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

- როდის გაქვს დაბადების დღე?
- ოცდაერთ მარტს. შენ?
- მე თოთხმეტ სექტემბერს მქონდა.
- რამდენი წლის გახდი?
- ცხრა წლის.
- მე მარტში გავხდები ცხრა წლის.
- შენს ძმას როდის აქვს დაბადების დღე?
- ჩემს ძმასაც მარტში აქვს...



4. მოამზადე დაბადების დღის მისალოცი ბარათი შენი ერთ-ერთი კლასელისათვის.

5. გააფორმე ნახატებით და წარადგინე კლასში.



თემა 2

ერთი ჩვეულებრივი დღე

1. დააკვირდი და აღწერე სურათები.

ა.


ბ.

გ.


დ.

ე.

ვ.

ზ.

თ.

ი.


კ.

2. დაალაგე სურათები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით (დილიდან ღამემდე): ერთი ჩვეულებრივი დღე გიას ოჯახში.

3. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

ჩვენს ოჯახში ყველა ადრე იღვიძებს. მე და გია ცხრის ნახევარზე სკოლაში მივდივართ. მამა და დედა სამსახურში მიდიან. სახლში ბებია და ბაბუა რჩებიან. ბებია საჭმელს ამზადებს. ბაბუა კითხულობს ან ტელევიზორს უყურებს. სკოლიდან ორის ნახევარზე მოვდივართ და გაკვეთილებს ვამზადებთ. შემდეგ მე ცეკვაზე მივდივარ, გია კი ცურვაზე მიდის. საღამოს ყველანი სახლში ვართ.

4. მოძებნე და დაასახელე, რომელი ინფორმაცია არ არის სურათებზე.

5. ისაუბრე სურათების მიხედვით: იას და გიას ერთი დღე

6. დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე.

ზამთარში იშვიათად არის თბილი ამინდები.

გაზაფხულზე ხშირად წვიმს.

მზე ყოველთვის დილით ამოდის.

ახალი წელი არასოდეს დგება ივლისში.

7. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან. ვინ არის?

1

2

3

4



ა. იშვიათად ვაგვიანებ გაკვეთილზე.
ბ. დილით არასოდეს ვდგები შვიდ საათზე.
გ. ოთხის ნახევარზე ყოველთვის ვუყურებ ჩემს საყვარელ გადაცემას.
დ. სკოლაში ხშირად მივდივარ ფეხით.

8. წაიკითხე, რას ამბობენ გია და რეზო.

მე ყოველ დილით ადრე ვდგები. ჭამის წინ ყოველთვის ვიბანს ხელს. სკოლაში არასოდეს ვაგვიანებ. გაკვეთილების შემდეგ სკოლის ეზოში ხშირად ვთამაშობ ბურთს. არასოდეს ვიძინებ გვიან.

მე ძალიან მიყვარს ძილი, ამიტომ ხშირად გვიან ვდგები. სკოლაში იშვიათად ვაგვიანებ. ყოველთვის ვუყურებ სპორტულ გადაცემებს. ხშირად ვუსმენ მუსიკას. იშვიათად ვიძინებ გვიან.

9. წაიკითხე და მოძებნე შესაბამისი ინფორმაცია ტექსტში. დაასახელე, ვინ არის.

1. ყოველთვის ადრე იღვიძებს.
2. ხშირად გვიან იღვიძებს.
3. ყოველთვის ადრე იძინებს.
4. ხშირად გვიან იძინებს.
5. სკოლაში ყოველთვის ადრე მიდის.
6. იშვიათად აგვიანებს სკოლაში.
7. ხშირად თამაშობს ბურთს.
8. ხშირად უსმენს მუსიკას.

1. დააკვირდი და წაიკითხე.



ათის 15 წუთია. ათის 25 წუთია. ათს აკლია 20 წუთი. ათს აკლია 5 წუთი.

2. დააკვირდი სურათებს და დაასახელე, რა დროა. თქვი, ვინ რას აკეთებს.



3. ერთი პერსონაჟის საქმიანობა დაალაგე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და დაასახელე.

მაგალითად: დათო **ჯერ** ამზადებს გაკვეთილებს, **შემდეგ** თამაშობს ეზოში.

დააკვირდი!

1 ჯერ → 2 შემდეგ

4. მოისმინე და წაიკითხე.

დედა წერტილი და შვილი წერტილი

(დონალდ ბისეტის მიხედვით)

იყო ერთი ფანქარი. ამ ფანქარს ძალიან უყვარდა ხაზების, რკალებისა და ხვეულების ხატვა. ერთხელ თქვა: - ახლა წერტილებს დავხატავ.

დახატა ერთი დიდი წერტილი და ერთიც პატარა წერტილი.

წერტილები გამხიარულდნენ და ახმაურდნენ.

გაბრაზებულმა ფანქარმა დედა წერტილი წრეში ჩასვა, თვითონ კი ზღაპრის წერა დაიწყო.



ფანქარს შეკითხვა გაუჩნდა და ერთ ხვეულას პატარა შვილი წერტილი მიუსკუპა ქვეშ. დაამთავრა წერა და ამ დროს წვერი მოსტყდა. ბოლო წინადადებას წერტილი არ ჰქონდა. ფანქარმა ტირილი დაიწყო.

5. შენი აზრით, რა მოხდა შემდეგ?

6. მოისმინე ამბის დასასრული და შეადარე შენს ვერსიასთან.

1. წაიკითხე.

რომელი საათია?

ათი საათია.

ათის ნახევარია.

ათის 5 წუთია.

ათს აკლია 5 წუთი.

2. დააკვირდი!



1. გვიან ვიღვიძებ.
2. დილით გვიან ვიღვიძებ.
3. კვირას დილით გვიან ვიღვიძებ.
4. კვირას დილით გვიან, 10 საათზე, ვიღვიძებ.

3. წაიკითხე და დააკვირდი.

ორშაბათს დილით სკოლაში მივდივარ. ოთხშაბათს სამ საათზე მაქვს სიმღერა. შაბათს გვიან საღამოს ვუყურებ საინტერესო გადაცემას ცხოველებზე.

როდის მიდის სკოლაში?



ორშაბათს დილით

როდის აქვს სიმღერა?



ოთხშაბათს 3 საათზე

როდის უყურებს გადაცემას?



შაბათს გვიან საღამოს

4. ჯერ მოისმინე და შემდეგ წაიკითხე ეს დიალოგები მეწყვილესთან ერთად.



- როდის სწავლობ გაკვეთილებს?
- შუადღისას. ჯერ ვსადილობ და შემდეგ ვმეცადინეობ. შენ?
- მე საღამოს ვსწავლობ.
- ყოველთვის საღამოს სწავლობ?
- ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად.



- რას აკეთებ სკოლის შემდეგ?
- ჯერ ვსწავლობ გაკვეთილებს, შემდეგ ვთამაშობ ან ვხატავ.
- საღამოს რას აკეთებ?
- საღამოს ტელევიზორს ვუყურებ.
- რომელ საათზე იძინებ?
- ათის ნახევარზე.

5. აირჩიეთ ქვემოთ მოცემული შეკითხვები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

როდის უყურებ ტელევიზორს?
როდის თამაშობ ეზოში?
რომელ საათზე იძინებ?
რომელ საათზე მიდიხარ სკოლაში?

რას აკეთებ დილით?
შუადღისას? საღამოს?
რას აკეთებ ძილის წინ?

ყოველთვის ფეხით მიდიხარ სკოლაში?
ხშირად უყურებ ტელევიზორს საღამოს?
ხშირად იძინებ გვიან?

1. დააკვირდი და დაასახელე, ვინ რას აკეთებს.

2. წაიკითხე და დაასახელე, ვინ არის.

ა. ის იშვიათად არის სამ საათზე სახლში იმიტომ, რომ მას ამ დროს ცეკვა აქვს.
ბ. ის არასოდეს უყურებს ტელევიზორს გვიან, მაგრამ ახლა მისი საყვარელი გადაცემაა.
გ. ის ყოველთვის მუსიკის შემდეგ მეცადინეობს.
დ. ის ჭამის წინ ყოველთვის იბანს ხელს.
ე. ის არასოდეს ვახშმობს გვიან და ყოველთვის ადრე იძინებს.

3. გაიხსენე და თქვი, შენ რას აკეთებ:

ყოველთვის ხშირად იშვიათად არასოდეს

4. მოამზადე, დაწერე და წარადგინე.

ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე

I. <u>დაყავი მონაკვეთებად.</u>
1. სკოლის წინ
2. სკოლაში
3. სკოლის შემდეგ

II. <u>თითოეულ მონაკვეთში შენი საქმიანობები დაალაგე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.</u>
გამოიყენე: წინ, ჯერ, შემდეგ

III. <u>გამოკვეთე, რა სიხშირით აკეთებ.</u>
რას აკეთებ ყოველთვის, რას - ხშირად, რას - იშვიათად და რას - არასოდეს.

IV. <u>მიუთითე კონკრეტული დრო</u>

ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე



თემა 3

მწერების სამყაროში

1. წაიკითხე და მოძებნე, რომელია.

1

ფუტკარი

ა. ეს მწერი ღამით ვარსკვლავივით ციმციმებს. ამიტომაც ციცინათელა ჰქვია.

2

ჭიამაია

ბ. ზოგი პატარაა, ზოგი კი ძალიან დიდია. ზოგს ოთხი გრძელი და სწორი ფრთა აქვს, ზოგს საერთოდ არ აქვს ფრთები. ისინი უკანა ფეხებს სახტომად იყენებენ. ზოგი მწვანეა, ზოგი - ყვითელი, ზოგიც - ღია ყავისფერი.

3

ციცინათელა

გ. ამ მწერს ტანზე ორი გამჭვირვალე ფრთა და პირზე პაწაწინა ხორთუმი აქვს. ზოგი სულ შავია, ზოგი კი - მბზინავი ყავისფერი.

4

პეპელა

დ. ისინი მწერებს შორის ყველაზე ლამაზები არიან. მათი ფრთები მწვანეც არის, თეთრიც, ყვითელიც და ყავისფერიც. ზოგი ჭრელია.

5



ბუზი

ე. ის ყველაზე ლამაზი ხოჭოა. პაწაწინაა და ტანზე აქვს წინწკლები. არსებობს წითელიც, ყავისფერიც და შავიც.

6



კალია

ვ. მას ძალიან უყვარს შრომა. ის წვიმაშიც კი მუშაობს. ცხვირზე აქვს ნესტარი. ამ ნესტრით აგროვებს ის ყვავილების წვენს და მისგან თაფლს ამზადებს.

2. მოისმინე და გამოიცანი, რა არის.

30 ოცდაათი

3. მოისმინე დიალოგი. შემდეგ წაიკითხე და უპასუხე შეკითხვებს.

ბაია და სალამურა

- შენ ვინ ხარ?
- მე სალამურა ვარ, ჭიამაიების მწყემსი. ჭიამაიებთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ.
- რა არის ჭიამაია?
- ჭიამაიები პატარა მწერები არიან. მათ ამინდის გამოცნობა იციან. ხელზე დაისვამ და ეტყვი: ჭია, ჭიამაია, ხვალ როგორი დარია? ჭიამაია გაშლის ფრთებს და გაფრინდება.
- სად გაფრინდება?
- წითელი ჭიამაიები ქარების ქვეყანაში გაფრინდებიან, ყვითლები - წვიმის ქვეყანაში.
- მერე?
- მერე მოფრინდება ჭიამაია და ამინდის ამბავს გვეტყვის. შენ რა გქვია?
- მე - ბაია. ციცინათელების მწყემსი ვარ. მე მათთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ.

1. ვინ არის სალამურა? 2. რა არის ჭიამაია? 3. რა იცის ჭიამაიამ? 4. სად მიფრინავენ წითელი ჭიამაიები? 5. რომელი ჭიამაიები მიფრინავენ წვიმის ქვეყანაში? 6. ვინ არის ციცინათელების მწყემსი? 7. როდის იძინებს და იღვიძებს სალამურა? 8. როდის იძინებს და იღვიძებს ბაია? 9. ვის არ უნახავს დღე? ღამე?

4. წაიკითხე ლექსი და დააკვირდი სურათს.

ობობა

სახლის სხვენზე ობობამ
მოიქსოვა ბინა,
ქსოვას როცა მორჩა,
შიგვე ჩაეძინა.

მაია კარსელი

5. იპოვე მსგავსება და განსხვავება ლექსსა და სურათს შორის და დაასახელე.

ჭიანჭველა და რწყილი

(ვასილ გულეურის მიხედვით)

1. მოისმინე და წაიკითხე.

1



დაძმობილდნენ და გაუდგნენ
გზას რწყილი და ჭიანჭველა.

2



რწყილმა ფეხები ქვას წამოკრა,
დაეცა და მეოთხე ფეხი მოიტეხა.

3



თუმცა სამჯერ მძიმე იყო, ჭიანჭველამ
რწყილი ზურგზემოიკიდა.

4

გზაზე შავი ხოჭო შეხვდათ.

5

ჭიანჭველამ გზა განაგრძო.

6



ახლა კალია შეხვდა.
ჭიანჭველამ არც კალიას დაუჯერა.

7



2. დააკვირდი მეშვიდე სურათს. შენი აზრით, რა მოხდა შემდეგ? მოისმინე და შეადარე შენს ვერსიასთან.

3. დააკვირდი და წაიკითხე.



ჭიანჭველა ფუტკარივით მშრომელი მწერია. მას შუბლზე აქვს მოძრავი ულვაში-ანტენები. მამალ და დედალ ჭიანჭველებს აქვთ ფრთებიც. ჭიანჭველას ბევრი ძილი არ უყვარს. მას სულ სამი საათი სძინავს.

პატარა ჭიანჭველები მიწის ქვეშ დიდ ბუდეებს აკეთებენ და იქ ცხოვრობენ. ერთ ოჯახში ბინადრობენ დედა, მამა და მუშა ჭიანჭველები.

4. წაიკითხე.

საინტერესო ამბების მოზაიკა

ეს ფოთლის პეპელაა. როცა არ დაფრინავს, ის ძალიან ჰგავს ფოთოლს - ზოგჯერ მწვანეს, ზოგჯერ კი ხიდან ჩამოვარდნილ ყავისფერ ფოთოლს ჰგავს.



ეს ქვიშის ობობაა. მას ექვსი თვალი აქვს. ექვსთვალა ობობა ქვიშაში ცხოვრობს. ის ძალიან საშიში მწერია.

ფუტკრები "მათემატიკოსები" არიან. ფუტკრების მიერ აშენებული ფიჭის კუთხეები ყოველთვის ერთმანეთის ტოლია.

1. დააკვირდი და წაიკითხე.



ჭიამაია ლამაზი მწერია.

პეპელა ყველაზე ლამაზი მწერია.
ის ულამაზესია.

ლამაზი ——— **ულამაზესი**

დააკვირდი!

წითელი	→	უწითლესი
ყვითელი	→	უყვითლესი
ცისფერი	→	უცისფრესი

ყველაზე ლამაზი	→	ულამაზესი
ყველაზე სწრაფი	→	უსწრაფესი
ყველაზე ახალი	→	უახლესი

მაგრამ

ყველაზე კარგი	→	უკეთესი
ყველაზე ცუდი	→	უარესი

2. დააკვირდი და წაიკითხე.

ციცინათელა **ვარსკვლავს ჰგავს.**
ციცინათელა **ვარსკვლავივით** ციმციმებს.

პეპელა **ყვავილს ჰგავს.**
პეპელა **ყვავილივით** ლამაზია.

3. დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე.

ფუტკარი

ფუტკრები

პეპელა



პეპლები

4. დააკვირდი და დაასახელე, რა მწერებია.



5. მოძებნე და დაასახელე, რომელი მწერები არიან აქედან სურათზე. თქვი, სად არიან და რას აკეთებენ ისინი.

1. მოისმინე და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.



- არის სხვადასხვა ფერის და ყველაზე ლამაზია.
- პეპელაა?
- არა, ხოჭოა და ტანზე აქვს წინწკლები.
- ვიცი, ჭიამაიაა.
- სწორია. ჭიამაია ყველაზე ლამაზი ხოჭოა.

2. ახლა შენ სცადე. აირჩიე ერთ-ერთი და დაახასიათე.



გამოიყენე!

არის პაწაწინა... სხვადასხვა ფერის ...
აქვს ხორთუმი, ნესტარი... გამჭვირვალე ფრთა...
ზოლები, წინწკლები...

3. ისაუბრე ერთ-ერთი მწერის შესახებ, რომელიც ყველაზე ძალიან მოგწონს, ან არ მოგწონს. დაასახელე მიზეზი, რატომ მოგწონს ან არ მოგწონს ეს მწერი.

4. გააკეთე მწერების ლექსიკონი.

1. მწერების სახელები დაალაგე ანბანის რიგის მიხედვით.
2. თითოეულს მიუწერე შენთვის საინტერესო ინფორმაცია.
3. დახატე ან ჩააკარი მათი ფოტოები და წარადგინე კლასის წინაშე.



ბუზი

ბუზს პირზე პაწაწინა ხორთუმი აქვს.

_____

_____

_____

_____

_____

_____



_____

_____

_____

_____

თემა 4

როცა ავად ვიყავი...

1. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

ვის რა აწუხებს?

ა. სტკივა თავი.
ბ. სტკივა ყელი.
გ. სტკივა მუცელი.
დ. სტკივა კბილი.
ე. აქვს სიცხე.
ვ. ახველებს.
ზ. აქვს სურდო.

1

2

3

4

5

6

7

2. წაიკითხე მიზეზები და დააკავშირე სურათებთან.

რატომ არის ავად?

1. ჭამის წინ ხელები არ დაიბანა.
2. გარეთ უქუდოდ გავიდა და გაცივდა.
3. ბევრი ნაყინი შეჭამა.
4. დიდხანს იჯდა კომპიუტერთან.
5. ცივი წყალი დალია.
6. ბევრი ტკბილეული შეჭამა.

3. წაიკითხე და მოძებნე ქვემოთ მოცემულ სურათებზე.

ბამბა

ნემსი



წამალი

მალამო

თერმომეტრი

4. წაიკითხე რეპლიკები და დაასახელე შესაბამისი სურათის ნომერი.

1

2

3

ა. - ხვალ ვერ მოვალ სკოლაში, ყელი მტკივა.
ბ. - ყელის ტკივილის წამალი მინდა, რა ღირს?
გ. - ყელი სტკივა და სიცხე აქვს.

5. მოისმინე დიალოგი და დააკავშირე შესაბამის სურათთან.

6. წაიკითხე წინადადებები და დაავშირე შენობებთან.

1

ა. ამ შენობაში წამლები იყიდება.

ბ. აქ წვებიან ავადმყოფები და მკურნალობენ.

2

1. დააკვირდი და აღწერე სურათი. ვინ არიან ავადმყოფები და რა აწუხებთ?

ტყის საავადმყოფოში

2. წაიკითხე ბაჭია ექიმის რეცეპტები და დააკავშირე ავადმყოფ ცხოველებთან.

3. მოისმინე ლექსი და დააკავშირე სურათთან.

4. წაიკითხე ლექსი და უპასუხე შეკითხვებს.

ექიმი

კორდზე დახტის ბაჭია,
სულ თეთრები აცვია.
ექიმია, იცით, ალბათ,
აქვს ნემსები, ბინტი, ბამბა,
იოდი და წამლის აბი...
შველის სურდოს, წითელას,
ანგინას და ხველას.
მხიარული რეცეპტებით
არჩენს თურმე ყველას.
წაგისვამს მზის მალამოს,
წყალს მოგართმევს საამოს,
ტყის ჰაერის აბებს
უხვად ჩაგაყლაპებს...

მარიამ წიკლაური

უპასუხე შეკითხვებს:

1. რა არის ლექსის სათაური?
2. ვინ არის ლექსის ავტორი?
3. ვინ არის ექიმი?
4. რა აცვია ექიმს?
5. რას მკურნალობს ბაჭია ექიმი?
6. რით მკურნალობს ბაჭია?

5. წაიკითხე და უპასუხე, რატომ ფიქრობს ბიჭუნა, რომ კარლსონი ავად არ არის?

კარლსონი ცუდად არის

- როცა კაცს სიცხე აქვს, ბევრ წყალს სვამს, - უთხრა კარლსონმა ბიჭუნას.
- სიცხე გაქვს? - ჰკითხა ბიჭუნამ და კარლსონს შუბლზე ხელი დაადო. კარლსონს გრილი შუბლი ჰქონდა.
- მაინც რამდენი გაქვს სიცხე?
- ოცდაათი, ორმოცი გრადუსი იქნება.
- მე მგონი, ავად არ ხარ, - უთხრა ბიჭუნამ კარლსონს.
- როგორ არ ვარ, ძალიან ავად ვარ, ძალიან...
- წამალი გაქვს? - ჰკითხა ბიჭუნამ.
- მაქვს, მაგრამ მწარე წამლის დალევა არ მინდა.
- აბა, რას დალევ?
- ჩემი რეცეპტით მომზადებულ ტკბილ წამალს.

6. მოისმინე კარლსონის რეცეპტი და შეადარე ბაჭიას რეცეპტებს.

7. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.

ჭკვიანი ექიმი

ერთი კაცი ექიმთან მივიდა.
- ექიმო, მუცელი მტკივა, მომარჩინე.
- გუშინ რა ჭამე? - ჰკითხა ექიმმა.
- მკვახე ხილი, - უპასუხა ავადმყოფმა.
- თვალების წამალი დალიე, - უთხრა ექიმმა.
- თვალების წამალი რად მინდა? - ჰკითხა გაოცებულმა ავადმყოფმა ექიმს.
- მეორედ კარგად დაინახავ, რას ჭამ, - უპასუხა ექიმმა.

1. რა გაუკვირდა ავადმყოფს?
2. რატომ გამოუწერა ექიმმა ავადმყოფს თვალების წამალი?

1. დააკვირდი და წაიკითხე.

ახლა / ამ წუთას:

- რას აკეთებ?

წეღან / ცოტა ხნის წინ:

- რა გააკეთე?

მე სიცხეს ვიზომავ და წამალს ვსვამ. მე მალამოს ვისვამ, ბამბას ვიდებ და ბინტით ვიხვევ.

მე სიცხე გავიზომე და წამალი დავლიე. მე მალამო წავისვი, ბამბა დავიდე და ბინტით შევიხვიე.

2. წაიკითხე და დააკვირდი სურათებს.

- ზღარბმა მალამო წაისვა?
- არა, სიცხე გაიზომა.

- ბელმა წამალი დალია?
- არა, თათი შეიხვია.

- მაიმუნმა ბამბა დაიდო?
- არა, წამალი დალია.

3. წაიკითხე და დაასახელე, ავადმყოფია თუ ექიმი.

ა. რეცეპტს წერს და წამლებით მკურნალობს.
ბ. სიცხეს იზომავს და წამალს სვამს.
გ. სურდო აქვს და მალამოს ისვამს.
დ. თეთრი ხალათი აცვია და ნემსს აკეთებს.
ე. საავადმყოფოში მუშაობს.
ვ. სცივა, ახველებს და აცემინებს.

4 . დააკვირდი სურათებს და დაალაგე ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

1

2

5. დააკვირდი და დაასახელე, რა არის.



6. წაიკითხე ლექსი და დააკავშირე სურათებთან. უპასუხე შეკითხვებს.

კბილი

- რა გატირებს? - ფისო
ეკითხება ცუგას.
- კბილი მტკივა, გუშინ
ბევრი ვჭამე ნუგა.

წაუყვანეს ცუგა
კბილის ექიმ ყანჩას
და ჭიანი კბილი
იმ ყანჩასთან დარჩა.

ვასილ გულეური

1. რატომ ტირის ცუგა?
2. რატომ სტკივა კბილი?

1. მოისმინე დიალოგები და შემდეგ წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

- როგორ არის გია?
- ავად არის, გაცივდა.
- სიცხეც აქვს?
- არა, სიცხე არ აქვს. ახველებს და სურდო აქვს. შენ როგორ ხარ?
- მეც ავად ვარ. ყელი მტკივა და სიცხეც მაქვს.

- რეზო, რას აკეთებ?
- სიცხეს ვიზომავ.
- ცუდად ხარ?
- ჰო, გავცივდი. ყელი მტკივა და მახველებს.

2. დააკვირდი ქვემოთ მოცემულ სურათებს და დაასახელე, ვის რა აწუხებს.

3. მოცემული სიტუაციების გამოყენებით, შეადგინეთ და გაითამაშეთ პირველი დავალების მსგავსი დიალოგები.



4. შეადგინე მხიარული რეცეპტები და წარადგინე კლასში.



თემა 5

ვინ გინდა, რომ იყო?

1. წაიკითხე და მოძებნე სურათზე.

1


2

3

4

ა. პილოტი
ბ. ექიმი
გ. პოლიციელი
დ. ვეტერინარი
ე. მზარეული
ვ. მეზღვაური
ზ. მასწავლებელი
თ. მძღოლი
ი. მკერავი
კ. გამყიდველი

5

6

7


8

9

10

2. წაიკითხე. დაასახელე, ვინ არის და დააკავშირე სურათთან.

ა. ის ცხოველებისა და ფრინველების ექიმია.
ბ. ის ამზადებს გემრიელ საჭმელებს.
გ. ის მუშაობს გემზე.
დ. ის ადამიანებს მკურნალობს.
ე. ის კერავს ტანსაცმელს.
ვ. ის ატარებს მანქანას.
ზ. ის იცავს წესრიგს.
თ. ის ყიდის სხვადასხვა საქონელს.
ი. ის თვითმფრინავის მძღოლია.
კ. ის ასწავლის მოსწავლეებს.

3. მოისმინე, დააკვირდი სურათებს და დაასახელე, ვინ არის.



4. დააკვირდი სურათებს და აღწერე ისინი.

მკერავი ბესო

1

2

3

4

5

6

5. წაიკითხე წინადადებები და დააკავშირე სურათებთან. დაასახელე შესაბამისი სურათის ნომერი.

ა. ერთხელ მკერავი ბესო უცხო ქვეყანაში წავიდა. 1
ბ. ქალაქში ზეიმი გაიმართა.
გ. ბესო კიბით ავიდა ცაში და ცა შეკერა.
დ. ბესო და საფრთხობელა ერთ უცნაურ ქალაქში მივიდნენ.
ე. გზაში ერთი უცნაური ხის კაცი შეხვდა. მას საფრთხობელა ერქვა.

6. სწორი თანამიმდევრობით გადაწერე ეს წინადადებები რვეულში და წაიკითხე.

7. მოისმინე მკერავი ბესოს ზღაპარი და დააკვირდი სურათებს.

1. დააკვირდი კომიქსის სურათებს და აღწერე.

2. შენი აზრით, რატომ ეშინიათ სტუმრებს კაქტუსების?

3. წაიკითხე კაქტუსების ამბავი და შეამოწმე შენი ვარაუდი.

კაქტუსების ოჯახი

(ლელა ცუცქირიძის მიხედვით)

ერთი დიდი ქალაქის ცხრასართულიან სახლში კაქტუსების პატარა ოჯახი ცხოვრობდა: მამა კაქტუ, დედა კაქტუსინა და შვილი კაქტუნა. მათ ძალიან უყვარდათ სტუმარი, მაგრამ მათთან არავინ მიდიოდა.

მეზობლებს ისინი უყვარდათ, მაგრამ მათი ეშინოდათ. აი, რა მოხდა ერთხელ: დედა კაქტუსინამ შოკოლადის ტორტი გამოაცხო და მეზობლები დაპატიჟა. კოცნის დროს კაქტუსებმა სტუმრებს ლოყები სულ ეკლებით დაუჩხვლიტეს. ერთი მეზობელი ამის გამო ექიმთანაც კი იყო.

4. მოისმინე მამა კაქტუს ისტორიები და დაასახელე შესაბამისი სურათის ნომერი.

1

2

3

5. წაიკითხე სათაურები და დააკავშირე შესაბამის ეპიზოდებთან.

ა. ბედნიერი ოჯახი.
ბ. მამა კაქტუ სამსახურს ეძებს.



1. ერთ საღამოს მამა კაქტუმ გაზეთი აიღო და განცხადებების კითხვა დაიწყო. "ვეძებთ კაქტუსს კომპიუტერულ ფირმაში სამუშაოდ", - წაიკითხა მამა კაქტუსმა. მეორე დღეს მამა კაქტუ, დედა კაქტუსინა და შვილი კაქტუნა ერთად წავიდნენ კომპიუტერულ ფირმაში.

2. ახალ სამსახურში ყველას ძალიან უყვარდა კაქტუსების ოჯახი. ისინიც ბედნიერები იყვნენ. გალამაზდნენ და გასუქდნენ. მამა კაქტუსს ახლა დიდი ღიპი და დაბერილი ლოყები აქვს. დედა კაქტუსინას კი სულ წითელ-ყვითელი ყვავილები ამშვენებს.

1. დააკვირდი სურათებს და წაიკითხე.

გიას მამა ექიმია.

- ის ყურის ექიმია?
- არა, კბილის ექიმია.

გიას დეიდა მასწავლებელია.



- ის მუსიკის მასწავლებელია?
- არა, ხატვის მასწავლებელია.

ლიას ბიძა მძღოლია.

- ის ტაქსის მძღოლია?
- არა, ავტობუსის მძღოლია.

დააკვირდი!

კბილ**ის** ექიმი	ავტობუს**ის** მძღოლი	ხატვ**ის** მასწავლებელი
ტანსაცმლ**ის** მკერავი	სათამაშოებ**ის** გამყიდველი	

2. წაიკითხე, ვინ რას გააკეთებს და დაასახელე, რა პროფესიის იქნება ის.

- მე შევკერავ კაბებს.

- მე ვატარებ მანქანას.

- მე ვასწავლი მუსიკას.

- მე ვუმკურნალებ ბავშვებს.

- მე მოვამზადებ საჭმელებს.



- მე ვითამაშებ ფეხბურთს ან ვუმკურნალებ ცხოველებს.

შეკერავს ატარებს ასწავლის უმკურნალებს მოამზადებს ითამაშებს დახატავს გაყიდის გამოაცხობს

3. შენ ვინ იქნები და რას გააკეთებ?

4. დააკვირდი და დაასახელე შესაბამისი პროფესია.

ის არის ...

5. წაიკითხე ტექსტი. მოძებნე შეცდომები და გაასწორე.

დათოს მამა ცხოველებს მკურნალობს, დედამისი კი დიასახლისია. დათოს ერთი ბიძა ჰყავს. ის მზარეულია და საჭმელებს აცხობს, დათოს მამიდა კი მკერავია. ის ტანსაცმელს ყიდის. დათოს ორი დეიდა ჰყავს. ერთი დეიდა ბიბლიოთეკაში მუშაობს. მას თამილა ჰქვია. მეორე დეიდა კი ქართულის მასწავლებელია.

6. სწორად უპასუხე შეკითხვებს.

ა. რა პროფესიისაა დათოს მამა?
ბ. სად მუშაობს დათოს დედა?
გ. ვინ არის და რას აკეთებს დათოს ბიძა?
დ. სად მუშაობს და რას აკეთებს დათოს მამიდა?
ე. ვინ არის ის, ვინც ყიდის?
ვ. ვინ არის თამილა და რა პროფესიისაა ის?
ზ. სად მუშაობს და რას აკეთებს დათოს მეორე დეიდა?

1. მოისმინე და შემდეგ წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

ვინ გინდა, რომ იყო?



- ვინ გინდა, რომ იყო?
- მინდა, ვიყო ექიმი.
- რატომ გინდა, რომ ექიმი იყო?
- იმიტომ, რომ მომწონს ექიმის პროფესია.
- რისი ექიმი იქნები?
- კბილის ექიმი.



- შენ ვინ გინდა, რომ იყო?
- მე მინდა, ვიყო მზარეული.
- რატომ გინდა?
- იმიტომ მინდა, რომ მიყვარს გემრიელი საჭმელები.
- რას გააკეთებ?
- მოვამზადებ გემრიელ საჭმელებსაც და გამოვაცხობ გემრიელ ნამცხვრებსაც.

2. მოიფიქრე, შენ ვინ გინდა, რომ იყო და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

გამოიყენე!

მინდა, რომ ვიყო ... იმიტომ, რომ

მიყვარს/მომწონს/
მაინტერესებს

ხატვა, სიმღერა, კერვა, ფეხბურთი, ცხოველები ...

მიყვარს/მომწონს/
მაინტერესებს

ექიმის, მზარეულის, მძღოლის, მასწავლებლის, ვეტერინარის, მეზღვაურის ... პროფესია.

3. გააკეთეთ გაზეთი.

პირველი გვერდი

<u>სკოლის</u> <u>ამბები</u>

რა მოხდა დღეს სკოლაში:

1. რა გაკვეთილები გქონდა?
2. რომელი იყო ყველაზე საინტერესო და რატომ?
3. ვინ არ იყო სკოლაში და რატომ?

მეორე გვერდი

<u>ინტერვიუები</u> <u>კლასელებთან</u>

ვინ გინდა, რომ იყო და რატომ?

მესამე გვერდი

<u>მხიარული</u>
<u>განცხადებები</u>

მეოთხე გვერდი

<u>პატარა</u> <u>მხატვრები</u>

4. გააფორმეთ თქვენი გაზეთი და წარადგინეთ.

თემა 6

მალე არდადეგები დაიწყება!

1. წაიკითხე და მოძებნე სურათზე.

ლია და მისი მეგობრები ტყეში სეირნობენ და სოკოს კრეფენ. ეს ლიას პატარა ბიძაშვილია. ის ლამაზ ყვავილებს კრეფს და მღერის.



ტყის პირას პატარა მდინარეა. მდინარეში რეზო და დათოს უფროსი ძმა ბანაობენ. მდინარის ნაპირზე დათოს და და ძმა წვანან და მზეზე ირუჯებიან. იქვე, დიდ ქვაზე დათო ზის და თევზაობს.

2. წაიკითხე და დააკავშირე სურათებთან.

მდინარეში ბანაობა. სოკოს კრეფა. თევზაობა.
ტყეში სეირნობა. მზეზე გარუჯვა.

3. დააკვირდი სურათს და წაიკითხე, ვინ რას აპირებს არდადეგებზე.

მე ზღვაზე წავალ.

მე კიდევ სოფელში.

მე ბორჯომში წავალ.

მე და რეზო წავალთ სოფელში.

4. მოისმინე დიალოგი და დააკავშირე სურათებთან.

1

2

3

4

5. წაიკითხე ქვემოთ მოცემული ფრაზები და დააკავშირე დიალოგის პერსონაჟებთან. თქვი, ვინ სად წავა და რას გააკეთებს.

1. პარკში ვისეირნებ და ბორჯომის წყალს დავლევ. 2. ტყეში წავალ და სოკოებს დავკრეფ. 3. ზღვაში ვიბანავებთ და მზეზე გავირუჯებით. 4. სოფლის სტადიონზე ფეხბურთს ვითამაშებთ.

6. მოისმინე და წაიკითხე ლექსი. უპასუხე შეკითხვებს.

მიმიხარია სოფლისკენ

(ნაწყვეტი)

მიმიხარია სოფლისკენ,
სადაც ზურმუხტი მთებია,
პირველი შემეგებება:
"შენ შემოგევლოს ბებია!"
ღობესთან ჩაიკისკისებს
წყარო ცივი და ანკარა,
ხელებზე შემომახტება
ბაბუას ყურშა პატარა.
ვაითუ, აღარ ვახსოვარ, -
მას შემდეგ მთელი წელია,
მთელი წელია, მოკითხვა
ერთხელ არ მიმიწერია.

ირაკლი აბაშიძე

1. რა არის ლექსის სათაური?
2. ვინ არის ლექსის ავტორი?
3. სად აპირებს ბიჭი წასვლას?
4. ვინ არიან სოფელში?
5. ვინ ამბობს: "შენ შემოგევლოს ბებია!" ?
6. რა ჰყავს ბაბუას?
7. რას გააკეთებენ წყარო და ყურშა?

1. წაიკითხე წერილი და უპასუხე შეკითხვებს.

გამარჯობა, ჩემო საყვარელო ბებია!

როგორ ხარ? მე კარგად ვარ. მალე არდადეგები დაიწყება. ძალიან მენატრება ჩვენი სოფელი – მდინარეში ბანაობა, მინდორში სირბილი და ბაბუასთან ერთად თევზაობა.

როგორ არის ჩვენი ფისო? ის, ალბათ, უკვე დიდია და კნუტებიც ჰყავს.

მომიკითხე ბაბუა მე მალე ჩამოვალ.

გკოცნი, შენი დათო

1. ვინ არის წერილის ავტორი?
2. ვის სწერს დათო წერილს?
3. სად ცხოვრობს ბებია?
4. რა ენატრება დათოს სოფელში?
5. რის გაკეთებას აპირებს დათო სოფელში?
6. ვისთან ერთად ითევზავებს დათო?

2. წაიკითხე ნაწყვეტი მოთხრობიდან და დააკავშირე ნახატთან.

წვიმასა და მზეში

(რევაზ ინანიშვილის მიხედვით)

სულ მალე არდადეგები დაიწყება და სოფელში წავალ. იქ რატომ მიმიხარია? ალბათ იმიტომ, რომ იქ ჩემი საყვარელი მდინარეა! ვზივარ მდინარის პირას ანკესით ხელში. წყალი კენჭებითა და ლიფსიტებით არის სავსე.

ჭრიჭინებენ ჭრიჭინები, მირბიან და მორბიან დიდი ჭიანჭველები, დაფარფატებენ ფრთახატული პეპლები, ბზუიან ფუტკრები...

შორს, მთებზე, წვიმით სავსე ღრუბლები სეირნობენ. დაბლა სოფელში სახლების წითელი სახურავები და ცისფერი აივნები ჩანს.



3. უპასუხე შეკითხვებს.

1. რომელი აბზაცი არ არის ნახატზე?
2. რა ფერია, შენი აზრით, "წვიმით სავსე ღრუბლები"?
3. რომელ წინადადებაში ჩანს, რომ ბიჭი თევზაობს?

4. თავიდან წაიკითხე მესამე აბზაცი და დახატე.

5. წაიკითხე სამივე აბზაცის დასაწყისი და დააკავშირე ქვემოთ მოცემულ სათაურებთან.

ა. ტყეში წასვლა
ბ. ტყის ბინადრების გამოჩენა
გ. ტყის აღწერა

6. წაიკითხე ტექსტი და ცალკეული აბზაცი დააკავშირე შესაბამის ნახატთან.

კარგია ტყეში

(ოტია იოსელიანის მიხედვით)

ა.

1. ტყეში ბევრი ხეა - დიდები, უფრო დიდები და სულ დიდები. ხეებზე კი ჩიტუნები დაფრინავენ: ჭრელები, შავები, გრძელკუდიანები და გრძელნისკარტიანები, ყლორტულები და ლამაზები. აქვე ცხოვრობს მშიშარა კურდღელი, ეშმაკი მელა, ეკლებიანი ზღარბი და მშრომელი ჭიანჭველები.

2. ერთხელ რამაზი და მანანა ტყეში წავიდნენ. ირგვლივ ბევრი თეთრი, წითელი და ყვითელი ყვავილი იყო. დაკრიფეს ბავშვებმა ყვავილები და დიდი ლამაზი თაიგული გააკეთეს. შემდეგ ისინი ერთი ხის ძირას დასხდნენ.

ბ.

გ.

3. უცებ იქვე დაბალი ბუჩქი შეინძრა. ბუჩქიდან პატარა შავი ცხოველი გამოძვრა. უცებ ეს პატარა ცხოველი მრგვალ ბურთს დაემსგავსა, ოღონდ ამ ბურთს ძალიან ბევრი ეკალი ჰქონდა. ახლა მეორე ბუჩქიდან გამოხტა სხვა ცხოველი - ნაცრისფერი, გრძელყურებიანი და მოკლეკუდიანი. დაინახა ამ ცხოველმა ბავშვები, ახტა, დახტა და ბუჩქებში შეხტა.

7. წაიკითხე და უპასუხე შეკითხვებს.

1. რა ბინადრობს ამ ტყეში?
2. კიდევ რომელი ცხოველები ბინადრობენ ტყეში?
3. გაიხსენე და დაასახელე, რომელი ფრინველია შავი? რომელია გრძელნისკარტა?
4. რა გააკეთეს ყვავილებისაგან რამაზმა და მანანამ?
5. რომელი ცხოველები ნახეს ბავშვებმა ტყეში?

1. დააკვირდი სურათებს და წაიკითხე, ვინ რას აკეთებს.

დათო თევზაობს.

დათოს და მზეზე ირუჯება.

ლია ყვავილებს კრეფს.

რეზო მდინარეში ბანაობს.

გია გემით სეირნობს.

ია ცურავს.

2. წაიკითხე წინადადებები. დააკვირდი წინა დავალებას და დაასახელე, ვინ არის.

1. მას უყვარს თევზაობა.
2. მას უყვარს ყვავილების კრეფა.
3. მას უყვარს ზღვაში ცურვა.
4. მას უყვარს მზეზე გარუჯვა.
5. მას უყვარს გემით სეირნობა.
6. მას უყვარს მდინარეში ბანაობა.

3. წაიკითხე დიალოგები და თქვი, ვინ რას გააკეთებს.

- დათო, შენ მზეზე არ გაირუჯები?
- არა, მზეზე ჩემი ძმა გაირუჯება. მე ვითევზავებ.

- რეზო, შენ არ ითევზავებ?
- არა, მე მდინარეში ვიბანავებ და მერე მზეზე გავირუჯები.

- გია, შენ ახლა იცურავებ ზღვაში?
- არა, ჯერ გემით ვისეირნებ და მერე ვიცურავებ.



- ლია, შენ არ ითამაშებ?
- არა, მე წავალ მინდორში, ვირბენ დამერე ყვავილებს დავკრეფ.

4. მოისმინე დიალოგი და წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

- სად გაატარებ ზაფხულის არდადეგებს?
- ჯერ მთაში წავალ, მერე წავალ ზღვაზე. შენ რას აპირებ?
- მე ჩემს სოფელში წავალ ბებიასთან და ბაბუასთან.
- იქ რას გააკეთებ?
- დილით ტყეში წავალთ, სოკოს მოვკრეფთ, მინდორში ვირბენთ. შუადღისას მდინარეში ვიბანავებთ, ვითევზავებთ. შენ როგორ გაატარებ არდადეგებს?
- მე ზღვაში ვიცურავებ, გემით ვისეირნებ. საღამოს ჩემს ბიძაშვილებთან ერთად ქალაქში ვისეირნებ, ფეხბურთსაც ვითამაშებთ.



5. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

მთაში:
ცხენით სეირნობა.
ყვავილების კრეფა.
მდინარეში ბანაობა.

სოფელში ბიძაშვილებთან:
ფეხბურთის თამაში.
მინდორში სირბილი.
თევზაობა.

სოფელში მამიდასთან:
ტყეში წასვლა.
სოკოს კრეფა.
მდინარეში ბანაობა.
ფეხით სეირნობა.

ზღვაზე დეიდაშვილებთან ერთად:
გემით სეირნობა.
მზეზე გარუჯვა.
ზღვაში ბანაობა.

გამოიყენე!

სად წახვალ?
ვისთან ერთად წახვალ?
რას გააკეთებ?
როგორ დაისვენებ?
როგორ გაერთობი?
როგორ გაატარებ დროს?

1. გაეცანი წერილის სტრუქტურას.



2. გაეცანი ქვემოთ მოცემულ წერილს და დაასახელე:

ა. რომელია მისალმება?
ბ. რომელია მიმართვა?
გ. რომელია ძირითადი ტექსტი?
დ. რომელ წინადადებებშია მოკითხვა?
ე. რომელ წინადადებებშია გადმოცემული ამბავი?
ვ. რომელია დასასრული?

გამარჯობა, ჩემო საყვარელო ბებია!

როგორ ხარ? ბაბუა როგორ არის? მე კარგად ვარ. აქ კარგად ვერთობით. ზღვა ძალიან მომწონს. ზღვაში ვწურაობთ და გემით ვსეირნობთ.

მომიკითხე ბაბუა.

გკოცნი, შენი ია

3. მოიფიქრე, ვის მისწერ წერილს. გამოიყენე წინა გვერდზე მოცემული სიტუაციები და მოამზადე მსგავსი წერილი.

4. მალე არდადეგები დაიწყება. მოიფიქრე: სად წახვალ და ვისთან ერთად.

5. დაწერე, გააფორმე და წარადგინე კლასში.

1. სად წახვალ;
2. აღწერე, რა არის იქ და დაახასიათე, როგორია;
3. ვისთან ერთად წახვალ და რას გააკეთებ.

თემა 7

ალო, გისმენთ!

1. წაიკითხე დიალოგები და დააკავშირე სურათებთან. ვის ელაპარაკება ია?

1
- ია, შენ ხარ?
- მე ვარ.
- გია სახლშია?
- კი, სახლშია.
- დაუძახე, რა!
- ერთი წუთით, ახლავე დავუძახებ.

2
- გისმენთ.
- ანა, შენ ხარ?
- არა, ია ვარ. დედა სახლში არ არის.

3
- ია, შენ ხარ?
- კი, მე ვარ.
- დედიკო სახლშია?
- კი, სახლშია.
- დაუძახე, რა!
- კარგი, ახლავე.

4
- გამარჯობა, პაატას სთხოვეთ, თუ შეიძლება!
- აქ პაატა არ ცხოვრობს. ნომერი შეგეშალათ.

დააკვირდი!

გისმენთ!
... სთხოვეთ, თუ შეიძლება!
... დაუძახე.
ერთი წუთით / ახლავე დავუძახებ.
ნომერი შეგეშალათ.

2. მოისმინე დიალოგები და შეამოწმე შენი პასუხები.

3. წაიკითხე დიალოგები და დაასახელე:

ვინ რეკავს?
ვინ პასუხობს?

- გამარჯობა! დათო სახლშია?
- არ არის სახლში. ვინ კითხულობს?
- მე დათოს კლასელი ვარ, ზაზა.
- ცოტა ხანში დარეკე, დათო მალე იქნება.

- გამარჯობა! რეზო თქვენთან არის?
- დიახ, ვინ კითხულობს?
- მე რეზოს მამა ვარ.
- ერთი წუთით, ახლავე დავუძახებ.

დააკვირდი!

ვინ კითხულობს?
ცოტა ხანში დარეკე / მოგვიანებით დარეკე.

4. წაიკითხე დიალოგები და დააკავშირე სურათებთან.

1

ა

- გამარჯობა, რეზო სახლშია?
- არ არის სახლში, სტადიონზეა.
- კარგი, საღამოს ვნახავ.

2

ბ

- გამარჯობა, რეზო სახლშია?
- არ არის სახლში, სტადიონზეა.
- კარგი, მოგვიანებით დავრეკავ.

1. დაასახელე, ვინ არის მოთხრობის ავტორი.
2. წაიკითხე მოთხრობის პირველი ნაწილი და დაასათაურე.

ცხრა მთას იქით

(ოტია იოსელიანის ნაამბობი)

ჩემი მეგობარი აბესალომი თბილისში ცხოვრობს. მე ხშირად მივდივარ სტუმრად ჩემს მეგობართან.

აბესალომს ორი შვილი ჰყავს: გიგი და ფიფქია. გიგი ფიფქიაზე უფროსია. ის სკოლაში დადის. ფიფქია კი სკოლაში ჯერ არ დადის. გიგის და ფიფქიას ძალიან უყვართ ზღაპრები.

3. უპასუხე შეკითხვებს.

1. რომელ აბზაცშია საუბარი აბესალომის შვილებზე?
2. ვისზეა საუბარი პირველ აბზაცში?

4. წაიკითხე მოთხრობის გაგრძელება და უპასუხე შეკითხვებს.

ჩემი მეგობარი ზღაპარს ასე იწყებს: - იყო და არა იყო რა, იყო ერთი ... ან: - იყო შაშვი მგალობელი ... ან: - ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ... და ასე ამთავრებს:

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მე კი ზღაპარს ყოველთვის ასე ვიწყებ: - იყო და არა იყო რა, ცხრა მთას იქით ცხოვრობდა ... და ვყვები, ვინ ცხოვრობდა ცხრა მთას იქით, ვისთან ერთად ცხოვრობდა, რას აკეთებდა და ბოლოს ასე ვამთავრებ:

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოთ ყველასა.

1. როგორ იწყებს ზღაპარს აბესალომი?
2. როგორ იწყებს ზღაპარს აბესალომის მეგობარი?
3. ვინ ამთავრებს ზღაპარს ასე: "ჭირი იქა, ლხინი აქა..."
4. როგორ ამთავრებს ავტორი?

5. წაიკითხე მოთხრობის გაგრძელება და თქვი, შენც ასე ფიქრობ თუ არა?

ერთხელ ფიფქიას და გიგის ახალი ზღაპარი ვუამბე.
- იყო და არა იყო რა, ცხრა მთას იქით ცხოვრობდა პატარა ბიჭი ... და მოვყევი ამ ბიჭის საოცარ ამბავს. ბოლოს ფიფქიამ მკითხა:
- ბიძია, თქვენ ნანახი გაქვთ ცხრა მთას იქით?
- არა, არ მაქვს.
- რატომ?
- იმიტომ, რომ იქ არც მატარებელი მიდის და არც მანქანა.
- თვითმფრინავი?
- თვითმფრინავი კი, მაგრამ ... ცხრა მთა მაინც ძალიან შორსაა.

6. დააკვირდი სურათებს და აღწერე.

7. მოისმინე მოთხრობის დასასრული და უპასუხე შეკითხვას.
შენი აზრით, სად არის, ცხრა მთას იქით?

1. დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე.

- მზიას სთხოვეთ!

- მზია აქ არ ცხოვრობს. ნომერი შეგეშალათ!

მე შემეშალა
შენ შეგეშალა
მას შეეშალა

2. დააკვირდი, წაიკითხე და გაიმეორე.

- ია, შენ ხარ?
- კი, მე ვარ.
- რეზო ვარ. გიას დაუძახე, რა!

- ბიძია ლევან, თქვენ ბრძანდებით?
- კი, მე ვარ.
- რეზო ვარ. გიას სთხოვეთ, თუ შეიძლება.

3. წაიკითხე.

როდის დავრეკო?

ცოტა ხანში

მოგვიანებით

ხუთ წუთში / ერთ საათში
საღამოს ...

4. მოისმინე სატელეფონო დიალოგები და შემდეგ წაიკითხე მეწყვილესთან ერთად.

- ალო, გისმენთ.
- ლიას სთხოვეთ, თუ შეიძლება.
- ვინ კითხულობს?
- მე მისი კლასელი ვარ, გია.
- ერთი წუთით, ახლავე დავუძახებ.

- გამარჯობა, დათოს სთხოვეთ!
- დათო ვარ.
- დათო, მე ვარ, რეზო.
- გისმენ, რეზო.
- ხვალ რა გვაქვს ქართულში?
- ერთი წუთით, ახლავე ვნახავ.

5. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული სიტუაციები და გაითამაშეთ სატელეფონო დიალოგები.

ხვალ შენი დაბადების დღეა და რეკავ კლასელთან, რომ დაპატიჟო.

შენი კლასელი არ იყო სკოლაში. რეკავ, რომ გაიგო მისი ამბავი.

შენ არ იყავი სკოლაში და გაინტერესებს, რა მოხდა.

ხვალ ზოოპარკში მიდიხარ და გაინტერესებს, წამოვა თუ არა შენი კლასელი შენთან ერთად. ის სახლში არ არის.

3. თამაშის დასაწყებად დადექი პირველ უჯრაზე და გააკეთე, რაც წერია.

19 გაიხსენე შენი პირველი სათამაშო.	**18** დათვალე! 41 - 57	**7** ისაუბრე შენს მეწყვილეზე: 1. რა ჰქვია? 2. როგორია? 3. რა აცვია?	**6** თქვი, რა გაინტერესებს ყველაზე მეტად და რატომ.
20 ჩამოთვალე ფერები. დაასახელე შენი საყვარელი ფერი.	**17** აღწერე შენი სახლი.	**8** დაასახელე მწერები.	**5** დაასახელე შენი საყვარელი: 1. რიცხვი 2. დღე, თვე 3. წელიწადის დრო
21 როდის არის შენი დაბადების დღე?	**16** ისაუბრე შენს ნათესავებზე: 1. ვინ გყავს? 2. რა ჰქვიათ? 3. სად ცხოვრობენ?	**9** წაიკითხე ლექსი.	**4** აღწერე შენი საკლასო ოთახი: 1. სად რა დგას 2. რა აწყვია მერხებსა და მაგიდაზე?
22 დაასახელე წყლის ცხოველები.	**15** რას აპირებ არდადეგებზე?	**10** გაიხსენე, რა მოხდა გუშინ სკოლაში.	**3** დათვალე! 20 - 35
23 წაიკითხე ლექსი.	**14** დაასახელე შენი საყვარელი ცხოველი და ფრინველი და აღწერე.	**11** დათვალე! 73 - 88	**2** ისაუბრე შენს ოჯახზე: 1. ვინ გყავს? 2. რა ჰქვიათ? 3. რამდენი წლისანი არიან?
იმღერე.	**13** ჩამოთვალე პროფესიები. შენ ვინ გინდა, რომ იყო და რატომ?	**12** დაასახელე, რა ტრანსპორტი დადის შენს სოფელში / ქალაქში.	**1** თქვი: 1. რა გქვია? 2. რამდენი წლის ხარ? 3. რომელ კლასში სწავლობ?

4. დაასახელე, რომელი თემა მოგეწონა, ან არ მოგეწონა ყველაზე მეტად.

1. უკვე ერთი წლით დიდი ვარ!
2. ერთი ჩვეულებრივი დღე
3. მწერების სამყაროში
4. როცა ავად ვიყავი...
5. ვინ გინდა, რომ იყო?
6. მალე არდადეგები დაიწყება!
7. ალო, გისმენთ!

თქვი, კონკრეტულად:

რა მოგეწონა და რატომ?

რა არ მოგეწონა და რატომ?

რა იყო საინტერესო?

რა არ იყო საინტერესო?

5. წაიკითხე და მიუთითე, რა შეგიძლია.

არ მიჭირს ახალი სიტყვების გახსენება.

უკეთესად ვსაუბრობ, ვიდრე მესმის.

მესმის, რასაც საუბრობენ ამ თემების შესახებ.

არ მიჭირს მისალოცი ბარათისა და წერილის დაწერა.

მესმის, რასაც ვკითხულობ.

თერძი მელა





თერძი ვარო, იკვეხნიდა
კუდფუმფულა მელია:
-საქმე თავზე საყრელი მაქვს,
ჯერ არ შემომლევია.

გვიან ღამით დავამთავრე
წუხელ ლომის შეკვეთა,
ის ფაფარი მე შევკერე,
ამ დილით რომ ეკეთა.



მე შევმოსე თბილი ქურქით
ზამთრისათვის დათვები,
სასკოლოდ მე შევუკერე
კენგურუებს ჩანთები.







ნათია ჯანაშია

ცქაფო და ცისია



ციყვი ცქაფოს ფუღუროში
დიდი სამზადისია,
ორი წელი შეუსრულდა
კუდფუმფულა ცისიას.

მოუყრიათ უკვე თავი
საციყვეთის ბინადრებს,
ცქაფომ, შვილის დღეობამდე
რამდენიმე დღით ადრე

მოსაწვევი ბარათები
დაურიგა მეზობლებს,
მეზობლების ნაცნობებს და
ნაცნობების მეგობრებს.

საჩუქრების გროვა დადგა,
ცქმუტავს ციცქნა ცისია,
ვერ იჯერებს, ნუთუ ყველა
საჩუქარი მისია?

სუფრა არის არნახული:
ნუში, თხილი, კაკალი...
თუ რამეა საკნატუნო
ციყვებისთვის, აქ არის.

შუაღამით გააცილა
ცქაფუნიამ სტუმრები,
ციყვებს კბილები სტკიოდათ,
ნუშის ნაკნატუნები.

ნათია ჯანაშია

რვაფეხა

ერთ რვაფეხა დედას
გაუცივდა შვილი.
ყველას ასე მოუვა,
ვინც უწინდოდ ივლის!

დედას გული გაუსკდა,
მოიტანა წამალი,
ეხვეწება: – ჩაყლაპე,
სანამ გვიან არ არის
და დაგიქსოვ ლამაზ
ჭრელა-ჭრულა წინდებს,
ჩხირებიც მაქვს, მატყლიც
დასართავად მიდევს!

რვაფეხუნა ატირდა:
– არ მინდაო აბები,
მომიყევი მამიკოს
პატარობის ამბები!

დედიკომაც უამბო
მართალიც და ზღაპარიც,
მოყოლაში გავიდა
ნახევარი ზამთარი...
ვილას ახსოვს ანთება?!
რვაფეხუნა განკურნა
სასაცილო ამბებმა.

მარიამ წიკლაური

კალია კოლია

კალიას, სახელად კოლიას,
მინდორში ეძახდნენ გოლიათს.
იიიიიიიიიმხელა ნახტომი ჰქონია,
ტოლებში სწორი არ ჰყოლია.

ისე კი ყოფილა ზარმაცი,
დილიდან იწყებდა ბორიალს.
ლექსების სწავლა არ უყვარდა,
ქართულში უწერდნენ ორიანს.

არც ინგლისური იცოდა,
თავი რით უნდა ერჩინა?
კალია იყო, რა ექნა,
ხტუნვა ყველაფერს ერჩივნა!



მარიამ წიკლაური

ტელეფონი

გაიღვიძებს თუ არა,
პაწაწინა ეკა,
მიუჯდება ტელეფონს
და მთელი დღე რეკავს.

- ალო, თინა, შენა ხარ?
როგორა ხარ, როგორ?
რატომ აღარ მირეკავ,
დამივიწყე, გოგო?

როგორა გყავს თოჯინა?
მითხრეს, სიცხე ჰქონია.
დაბანილის გაყვანა
გარეთ გამიგონია?

თბილად გყავდეს ლოგინში,
საფენები დაადე.
ჩაიც ასვი ლიმონით...
აბა, კარგად, ხვალამდე!

- ალო, ლია, ეკა ვარ.
გუშინ ცირკში რა ვნახე —
კლოუნებმა ბურთისთვის
ერთმანეთი გალახეს.

მართლა, ჩვენმა ფისუნამ
დილით, იცი, რა მიყო?
დედამ რძე რომ დამიდგა,
თათი ჯამში ჩამიყო.

გოგო, თავის საუზმე
საწყალს, ალბათ, არ ეყო...
ახლა გემშვიდობები,
სხვაგან უნდა დავრეკო.

- ალო, ალო, ნინიკო,
მომენატრე ძალიან.
შენ რაც ბაღში დადიხარ,
ჩემთვის აღარ გცალია.

მალე ბაღში მეც ვივლი,
სამის ვხდები, ხომ იცი.
მაგრამ, რომ არ მეცალოს
შენთვის მაინც მოვიცლი.

თუმცა, ხშირად დარეკვა
მაშინ გამიჭირდება.
უნდა ვუთხრა მამიკოს,
მობილური მჭირდება...

საღამომდე გაისმის:
- ალო, ალოოო, ეს მე ვარ!
მალე ეკას სახელად
ეკაფონი ერქმევა.

ვასილ გულეური

უცნაური ამბები

კაქტუსების ოჯახი



ერთი დიდი ქალაქის მრავალსართულიან სახლში კაქტუსების პატარა ოჯახი ცხოვრობდა - მამა კაქტუ, დედა კაქტუსინა და შვილი კაქტუნა. ძალიან სტუმართმოყვარე ოჯახი იყო. შაბათობით დედა კაქტუსინა შოკოლადის ტორტს აცხობდა და მეზობლებს ეპატიჟებოდა, მაგრამ ამაოდ. საღამო ისე ჩაივლიდა, რომ კარზე ინკასატორის გარდა არავინ რეკავდა.

ალბათ, არ გვკადრულობენო, ფიქრობდნენ კაქტუსები და მოწყენილები უყურებდნენ ტელევიზორს. მეზობლებს კი, უბრალოდ, მათთან მისვლის ეშინოდათ. კაქტუსები სტუმრებს სულ ლოყებს უკოცნიდნენ და ძალაუნებურად ჩხვლეტდნენ. ერთმა მეზობელმა ამის გამო ექიმთანაც ამოყო თავი - კაქტუსინას ნაჩხვლეტი გაუმიზეზდა!

ერთხელ მამა კაქტუ სამსახურიდან დაითხოვეს. დამავიწყდა მეთქვა, რომ მამა კაქტუ ტანსაცმლის მაღაზიაში მუშაობდა. ჰოდა, ერთ დღეს მაღაზიაში შესულ ცნობილ მინისტრს პიჯაკის ჩაცმაში მიეხმარა. ცნობილი მინისტრი ისე დაიჩხვლიტა, რომ სულ ყვირილით გავარდა გარეთ. მაღაზიის დირექტორმა არც აცია და არც აცხელა, მამა კაქტუ სამსახურიდან დაითხოვა.

რაღა ექნა მამა კაქტუს, ახალი სამსახურის ძებნა დაიწყო. ჯერ პურის საცხობში მოეწყო მცხობელად, მაგრამ ერთ ჭორიკანა ქალბატონს ფუნთუშის ჭამის დროს ენაზე ეკალმა უჩხვლიტა და გამწარებულმა საცხობის გამგესთან იჩივლა. რა თქმა უნდა, მამა კაქტუ საცხობიდან დაითხოვეს.

შემდეგ ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მკითხველებს წიგნის გადაფურცვლისას სულ ხელები ეჩხვლიტებოდათ და იქიდანაც გაათავისუფლეს.



დრო კი გადიოდა. საღამოობით მამა კაქტუ ტელევიზორთან იჯდა და თან გაზეთებს ათვალიერებდა, იქნებ სამსახური ვიშოვოო და ბედი არ გინდა?! ერთ დღეს გაზეთში ასეთი განცხადება წაიკითხა: ვეძებთ კაქტუსს კომპიუტერულ ფირმაში სამუშაოდ.

მამა კაქტუსმა დაიკოსა თავზე სოლიდური შლაპა და გაიკეთა სოლიდური ჰალსტუხი. დედა კაქტუსინაც გამოიპრანჭა და წავიდნენ. სწორედ ასეთ კაქტუსს ვეძებდიო, გაიხარა კომპიუტერული ფირმის პრეზიდენტმა და მამა კაქტუს თავის კომპიუტერთან მიუჩინა ადგილი. მოადგილეს ფირმის პრეზიდენტის შეშურდა და დედა კაქტუსინას თავის კომპიუტერთან შესთავაზა მუშაობა. დედა კაქტუსინამ ცოტა კი დაიმორცხვა, მაგრამ იფიქრა, იფიქრა და დათანხმდა. ისეთი მშვენიერი სამსახური ჰქონდათ, რომ დღითი-დღე მშვენდებოდნენ.

მამა კაქტუ თავის შეფს დაემსგავსა - ღიპი დაედო, ლოყები დაებერა და ცხვირზეც ოქროსჩარჩოიანი სათვალე დაიკოსა. დედა კაქტუსინა კი ისე იპრანჭებოდა, რომ წელიწადში ხუთჯერ ყვაოდა. არც მათი ეკლები აწუხებდა ვინმეს. პირიქით, თანამშრომლებს კაქტუსები ისე უყვარდათ, რომ სულ ეფერებოდნენ და ერთხელ გამოფენაზეც კი გაიტანეს. ალბათ იკითხავთ, კაქტუნა სადღა იყოო?! სანამ მამა კაქტუ და დედა კაქტუსინა მუშაობდნენ, კაქტუნა ფირმის პრეზიდენტის შვილებთან ერთად კომპიუტერულ თამაშებს თამაშობდა და ახალი მეგობრების შეძენით ისიც ძალიან ბედნიერი იყო.

ლელა ცუცქირიძე



დედა წერტილი და შვილი წერტილი







იყო ერთი ფანქარი. ამ ფანქარს ძალიან უყვარდა ხაზების, რკალებისა და ხვეულების ხატვა. ერთხელ თქვა: - ახლა წერტილებს დავხატავ. მან დახატა ერთი დიდი წერტილი და ერთიც პატარა წერტილი. წერტილები გამხიარულდნენ და ახმაურდნენ:
- რა კარგია, ჩვენ წერტილები ვართ!
- თანაც ყველაზე მრგვალი და ყველაზე ლამაზი წერტილები.
- აქ რა ხდება, რა ხმაურია? - გაბრაზდა ფანქარი. - შენ აქ იყავი, - თქვა გაბრაზებულმა ფანქარმა და დედა წერტილს წრე შემოავლო, თვითონ კი ზღაპრის წერა დაიწყო. დაწერა ერთი წინადადება, მეორე, მესამე... მერე შეკითხვა გაუჩნდა და ერთ ხვეულას პატარა შვილი წერტილი მიუსკუპა ქვეშ. როგორც იქნა, დაამთავრა წერა და ამ დროს წვერი მოსტყდა. ფანქარმა ტირილი დაიწყო.
- ნუ ტირიხარ! - უთხრა საშლელმა ფანქარს. მე წრის ნაწილს წავშლი, დიდი წერტილი გამოვა და შენი ზღაპრის ბოლოში დასკუპდება.
- რა კარგია! - ტაში შემოჰკრა ფანქარმა.
მართლაც, საშლელმა წრის ნაწილი წაშალა. იქიდან გამოვიდა გახარებული დიდი დედა წერტილი და ზღაპრის ბოლოში დასკუპდა.

დონალდ ბისეტი





საინტერესო ამბების მოზაიკა

მწერები

იცით, თუ არა, რომ:

- ფუტკრის შვილს ჰქვია ბარტყი.
- ფუტკრის ოჯახი ექვს წელიწადს ცოცხლობს, ზოგი კი - შვიდს.
- ფუტკრები სულ მუშაობენ. ისინი მხოლოდ 40 დღე ისვენებენ ზამთარში.
- აფრიკაში ბინადრობენ ხორციჭამია ჭიანჭველებიც.
- ყველაზე ხშირად ჭიანჭველები მარცვლეულით ან სოკოებით იკვებებიან.
- ჭიანჭველებმა იციან, როგორ გაამრავლონ სოკო.
- ჭიანჭველას მხოლოდ 3 საათი სძინავს.



კაქტუსები

1. კაქტუსის ყვავილები, ჩვეულებრივ, საღამოს ან გვიან ღამით იშლება.
2. მექსიკაში კაქტუსებს ნაძვის ხესავით იყენებენ. საახალწლოდ ღია ცის ქვეშ ბავშვები კაქტუსს სათამაშოებით რთავენ.
3. კაქტუსს ძალიან გემრიელი ნაყოფი აქვს. მისგან ამზადებენ მურაბას, ჯემს... კაქტუსს ერბოკვერცხთან ერთადაც წვავენ და გემრიელად მიირთმევენ.



ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა: მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი: დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება: სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც; სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან: სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე: დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები, სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი